ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №105773

ნომერი: AR132204

თარიღი : 22.03.2012

გაცემის თარიღი : 03.04.2012

გაცნობის თარიღი : 03.04.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტერენტი გრანელი , N 10-12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა დანელია პ/ნ 01008027130
- თბილისი აკ.შანიძის ქ. N 2

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. აზიმუტი კოდი: 208146095

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2012 წლის 22 მარტს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს A AR132204 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე ლაშა დანელიამ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის #10–12–ში არსებულ #014/001 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

რადგან ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, საკითხი იქნა განხილული საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის

წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომაზე, რომლის დასკვნის შესაბამისად გადაწყდა უარყოფითად. საბჭოს წევრთა რეკომენდაციით დასადგენია შენობის მასშტაბი, განაშენიანებაში მისი ზომები, ესკიზის დონეზე დასახვეწია სივრცობრივ-მოცულობითი სახე, რომელიც შესრულებული იქნება ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ლაშა დანელიას ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის #10–12–ში არსებულ #014/001 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.